საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1640

ქ. თბილისი

"12" "11" 2007წ.

შპს „სუპტექცემენტი"-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 24 მუხლის, მე-4 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2005 წლის, 1 სექტემბრის №154 დადგენილებით დამტკიცებული „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ" დებულების მე-3 მუხლის, პირველი პუნქტის გ) ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს შპს „სუპტექცემენტი"-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვა – ცემენტის წარმოების საქმიანობაზე;
2. ნებართვის მფლობელმა უზრუნველყოს სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული სანებართვო პირობების შესრულება;
3. ნებართვა გაიცეს განუსაზღვრელი ვადით;
4. ეს ბრძანება დაუყონებლივ გაეგზავნოს ნებართვის მფლობელს;
5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მთავრობაში (ქ. თბილისი, ინგოროყვას ქუჩა №7) ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, სარაჯიშვილის ქ. №1) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №41; 09.11.07წ. და ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტის უფროსის გიორგი ცხაკაიას მოხსენებითი ბარათი

დავით ჩანტლაძე
მინისტრი

ეგზავნება: ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტს, გარემოს დაცვის ინსპექციას, ნებართვის მიმღებ სუბიექტს

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND NATURAL RESOURCES OF GEORGIA
ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტი
DEPARTMENT OF LICENSES AND PERTMITS

საქართველო, 0114, გულუას ქ.ა, ტელ. 72 72 08

ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ
ლიცენზიებისა და ნებართვების
დეპარტამენტის უფროსი

გიორგი ცხაკაია
(სახელი, გვარი)

ბ. ა.

(ხელმოწერა)

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის

დასკვნა პროექტზე

№ ___41___

__09____11____ 2007 წ.

I. საერთო მონაცემები

1. საქმიანობის დასახელება – ცემენტის დასაფქვავი მინი საამქროს რეკონსტრუქცია
2. საქმიანობის განმახორციელებლის დასახელება და მისამართი – შპს „სუპტექცემენტი", ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზ. №45
3. განხორციელების ადგილი – ქ. კასპი, ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით, დ. აღმაშენებლის 172
4. განაცხადის შემოსვლის თარიღი – 24.10.07
5. მონაცემები პროექტის შემდგენელის შესახებ – შპს „ეკოლცენტრი"

II. ძირითადი საპროექტო გადაწყვეტილებანი

შპს „სუპტექცემენტი"-ს მიერ სახელმწიფო ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე განსახილველად წარმოდგენილია „ცემენტის დაფქვის მინი სააქროს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში", რომელიც მომზადებულია შპს „ეკოლცენტრი"-ს მიერ.

საწარმო მდებარეობს ქ. კასპის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, დ. აღმაშენებლის №172-ში, ე.წ „ნიშახევში"-ს ტერიტორიაზე.

პროექტით გათვალისწინებულია წელიწადში 21 840 ტ. ცემენტის წარმოება. საწარმო უშვებს 300 და 400 მარკების პორტლანდ ცემენტს. რეკონსტრუქციის შედეგად დაგეგმილია ორი ცემენტის დასაფქვავი წისქვილების ქონა. აქედან ერთი არსებული (4ტ/სთ წარმადობის) და მეორე ახალი (3 ტ/სთ წარმადობის).

პორტლანდცემენტი მიიღება რიგითი კლინკერის, მინერალური დანამატებისა და თაბაშირიოს ერთდროული დაფქვით. საამქრო კლინკერს არ აწარმოებს და ამიტომ მაღალტემპერატურული ღუმელი წარმოებაში არ გამოიყენება. ძირითადი საწარმოო პროცესი დაფქვით განისაზღვრება: კლინკერის საწყობში ავტომტვირთავით ხდება კაზმის არევა-მომზადება, არეული ნარევი ავტოთვითმცლელით გადაიტვირთება მიმღებ ბუნკერში, საიდანაც ვიბრაციული მკვებავით გადადის ბურთულებიან წისქვილში დაფქვისათვის. მიღებული მზა პროდუქცია ცემენტი შნეკისებური კონვეიერისა და ელევატორის საშუალებით გადადის სილოსში. აქედან ცემენტი მიეწოდება მომხმარებელს, როგორც ცემენტმზიდებით, ასევე შეფუთული 50კგ-იანი ტომრებით.

ასპირაციისა და ცემენტის დანაკარგის აცილების მიზნით ცემენტის წისქვილებზე დამონტაჟებულია დამლექი კამერები, ციკლონები და 30მ^3 გაფილტვრის ფართის მქონე სახელოებიანი ფილტრი. აქ შეკავებული ცემენტის მტვრის ნაწილი ბრუნდება პროდუქციის სახით, მცირე ნაწილი კი ვენტილატორითა და მტვერგამწოვი მილით გაიტყორცნება ატმოსფეროში. წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მიხედვით მტვერდამჭერის ეფექტურობა ტოლია 99,9%-ის.

წარმოდგენილ დოკუმენტაციაში განსაზღვრულია საწარმოს მიერ გამოფრქვეული მტვრის გავრცელების მიმართულება, მიწისპირა მაქსიმალური კონცენტრაციები, მანძილები კონცენტრაციის სხვადასხვა მნიშვნელობებისათვის (ზდკ-ს ერთეულებში). ყოველივე გათვლილია სხვადასხვა კლიმატური პირობებისათვის, ქარის სხვადასხვა სიჩქარეებისათვის. გათვლები განხორციელებულია იმ შემთხვევისთვისაც, როცა ემისია ერთდროულად მიმდინარეობს ყველა წყაროდან, ამ შემთხვევაში საწარმოს ტერიტორიაზე

III. პირობები

1. მოხდეს საწარმოში მომუშავე პერსონალის დაცვის ინდივიდუალური საშუალებებით უზრუნველყოფა;
2. მოხდეს საწარმოს მიმდებარე ტერიტორიის გამწვანება;
3. გატარდეს ხანძარსაწინააღმდეგო ღონისღიებები;
4. საწარმოს მიერ გარემოს მტვრით დაბინძურების შემცირების მიზნით მოხდეს ტერიტორიის პერიოდულად მორწყვა;

IV. დასკვნა

შპს „სუპტექცემენტი“-ს მიერ წარმოდგენილი „ცემენტის დასაფქვავი მინი საამქროს რეკონსტრუქციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში“-ს მიხედვით საქმიანობის განხორციელება შესაძლებელია წინამდებარე დასკვნის III თავში მოყვანილი პირობების გათვალისწინების შემთხვევაში.

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გაიცეს განუსაზღვრელი ვადით.

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის
საექსპერტო კომისიის თავმჯდომარე: ი. მემანიშვილი

ი. მემანიშვილი

(სახელი, გვარი, ხელმოწერა)

საქართველოს გარემოს დაცვისა
და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა № 00094

კოდი M D 1 „14" „ნოემბერი" 2007 წ.

1. ნებართვის მიმღები სუბიექტი	შპს „სუპტექცემენტი"
2. საქმიანობის მიზანი	ცემენტის წარმოება
3. განსახორციელებელი საქმიანობის ადგილმდებარეობა	ქ. კასპი, ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით, დ. აღმაშენებლის №172, ე.წ „ნიშახევის" ტერიტორია
4. დოკუმენტაციის მომამზადებელი ორგანიზაცია	შპს „ეკოლოცენტრი"
5. ნებართვის მისაღებად წარმოდგენილი დოკუმენტაცია	გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში
6. ნებართვის გაცემის საფუძველი	სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა პროექტზე № 41; 09.11.07
7. ნებართვის პირობები	ნებართვა მოქმედებს დასკვნით გათვალისწ. პირობების აუცილებელი შესრ. პირობით

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გაცემულია:

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს უფლებამოსილი წარმომადგენელი (გვარი, სახელი, თანამდებობა): ლიცენზიების და ნებართვების დეპარტამენტის უფროსი

გიორგი ცხაკაია

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო * MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND NATURAL RESOURCES OF GEORGIA * 204861943

დამკვეთი: გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
დამამზადებელი: შპს „ფინანსები"
„ს.ფ.ს" რეგისტრაციის №2-0360

საქართველოს გარემოსა და
ბუნებრივი რესურსების დაცვის
სამინისტროს, შ.პ.ს. [illegible]
[illegible] [illegible]
[illegible] [illegible]

განცხადება

[illegible] რომ შ.პ.ს. [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] და [illegible] შ.პ.ს. [illegible] [illegible] (12.11.2007 წლის საჯარო რეესტრის ამონაწერი) [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible].

14.02 2017.

[signature]

599 900200

თბ, [illegible] [illegible] №6.
ბინა №12.

საქართველოს
გარემოსა და ბუნებრივი რესურსების
დაცვის სამინისტრო
№ 2839
"14" 02 2017წ

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის

KA060178879015217

ბრძანება **N0-124**

ქ. თბილისი **17** / მარტი / **2017** წ.

„შპს „სუპტექცემენტი“-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

ახლადგამოვლენილი გარემოებების შესაბამისად დადგინდა, რომ 2007 წლის 9 ნოემბრის „ცემენტის წარმოების“ პროექტის N41 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე გაცემული N00094 გარემოზე ზემოქმედების ნებართვით გათვალისწინებული საქმიანობა მოიცავს „ცემენტის დასაფქვავი მინი საამქროს“ პროექტის 2006 წლის 22 თებერვლის N44 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე გაცემული N00005 გარემოზე ზემოქმედების ნებართვით გათვალისწინებულ საქმიანობას.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-7 პუნქტისა და საქართველოს კანონი ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის მეორე პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2006 წლის 24 მარტის №202 ბრძანება „შპს „სუპტექცემენტი“-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ (ცემენტის დასაფქვავი მინი საამქრო; ქ. კასპი, ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით, დ. აღმაშენებლის 172, ე.წ. „ჩითახევი“; სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №44; 22.02.2006);
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს შპს „სუპტექცემენტი“-ზე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ 2006 წლის 29 მარტს გაცემული გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოწმობა №00005;
3. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „კასპიცემენტ გრუპ“-ს (ძველი საფირმო სახელწოდება – შპს „სუპტექცემენტი“) ს/კ 205093913;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „კასპიცემენტ გრუპ“-ის (ძველი საფირმო სახელწოდება – შპს „სუპტექცემენტი“) მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში- საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქუჩა №7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის

KA060186778045717

ბრძანება **№-149**

ქ. თბილისი **24** / მარტი / **2017** წ.

შპს „კასპიცემენტ გრუპ“-ზე სანებართვო მოწმობის გაცემის შესახებ

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-15 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს შპს „კასპიცემენტ გრუპ“-ის ცემენტის წარმოებაზე (ცემენტის დასაფქვავი მინი საამქროს რეკონსტრუქცია; ქ. კასპი, ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით, დ. აღმაშენებლის 172) გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოწმობა;
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს შპს „სუპტექცემენტი“-ზე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ 2007 წლის 14 ნოემბერს გაცემული გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოწმობა №00094;
3. დაევალოს სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტს უზრუნველყოს უწყებრივ სანებართვო რეესტრში შესაბამისი ცვლილების შეტანა;
4. ნებართვის მოქმედების ვადა - უვადო;
5. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „კასპიცემენტ გრუპ“-ს;
6. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „კასპიცემენტ გრუპ“-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში-საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქუჩა №7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

მინისტრი გიგლა აგულაშვილი

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი
რესურსების დაცვის სამინისტრო

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა N 000244

კოდი MD1

„24“ „03“ 2017

1. ნებართვის მიმღები სუბიექტი

შპს „კასპიცემენტ გრუპ"

2. საქმიანობის მიზანი

ცემენტის წარმოება

3. ადგილი (ადგილმდებარეობა), სადაც უნდა განხორციელდეს საქმიანობა

ქ. კასპი, ჩრდილოეთ-დასავლეთის შესასვლელთან, დ. აღმაშენებლის 172.

4. დოკუმენტაციის მომამზადებელი ორგანიზაცია

შპს „ეკოლოგცენტრი"

5. ნებართვის მისაღებად წარმოდგენილი დოკუმენტაცია

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში.

6. ნებართვის გაცემის საფუძველი

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №41; 09.11.2007.

7. ნებართვის პირობები ნებართვა მოქმედებს სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობების შესრულების შემთხვევაში.

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გაცემულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს
უფლებამოსილი წარმომადგენელი გარემოზე ზემოქმედების ნებართვების
(გვარი, სახელი, თანამდებობა) დეპარტამენტის უფროსი
თამარ ბარაბაძე

ბ.ა.

დამკვეთი: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
დამამზადებელი: შპს „კაბადონი +“
სფს-ს რეგისტრაციის N 26-4034